პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №

—თებერვალი 2024 წელი

ქალაქ თბილისში, დიდუბის რაიონში, ბათუმის შესახვევისთვის ქორეოგრაფის, საქართველოს სახალხო არტისტის რევაზ ჭოხონელიძის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. დიდუბის რაიონში, ბათუმის შესახვევს მიენიჭოს ქორეოგრაფის, საქართველოს სახალხო არტისტის რევაზ ჭოხონელიძის ქუჩის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01230231568**
თარიღი: **23/01/2023**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

17-032302367-03

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ გიორგი ტყემალაძეს,

ბატონო გიორგი,

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-80 მუხლის შესაბამისად, კომპეტენციის ფარგლებში განსახილველად გიგზავნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში შემოსულ მოქალაქე კახა ჭოხონელიძის 2023 წლის 16 იანვრის N10/01230162959-01 განცხადებას.

დანართი: 3 (სამი) ფურცელი.

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ა(ა)იპ საქართველოს ქორეოგრაფთა აკადემია
N-E(N_C)LE GEORGIAN ACADEMY OF CHOREOGRAPHERS

საქართველო, თბილისი, ც. დადიანის ქ. 26 Ts. DadianiStreet, Tbilisi; Georgia
Mob: (+995) 995 577 376 794 (+995) 599 55 69 28:
www.ak.com.ge. E-mail: qor.union@gmail.com.

 # 01/01 თბილისი/Tbilisi „ 11 " იანვარი 2023 წ.

ქალაქ თბილისის მერს
ბატონ კახი კალაძეს

ბატონო კახი,

საქართველოს ქორეოგრაფთა აკადემია გარკვეულ სამუშაობს ატარებს გამორჩეული ქართველი აწ გარდაცვლილი ქორეოგრაფების სახელითა და ღირსებით, ეროვნული კულტურის სფეროში შეტანილი დიდი წვლილისათვის, გაუწიოს შუადგომლობა ზემდგომ ორგანოებთან, რათა კონკრეტულ ქუჩას მიენიჭოს მათი სახელი.

უახლოესი პერიოდისთვის დღის წესრიგში დადგა საკითხი, თბილისში ერთ-ერთ ქუჩას მიენიჭოს, აწ გარდაცვლილი ბრწყინვალე ქართველი ქორეოგრაფის, ბატონ რევაზ ჭოხონელიძის სახელი.

ბატონი რევაზ ჭოხონელიძეს, როგორც საზოგადო მოღვაწეს, განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის ქართული ფოლკლორის განვითარების სფეროში. იგი დაიბადა 1938 წლის 11 თებერვალს ქალაქ თბილისში. 1957 წლიდან ცეკვავდა ქართული ცეკვის თვითმოქმედ ანსამბლში „სალხინო", 1967 წლიდან კი ამ ანსამბლის ხელმძღვანელი. 1971 წელს ანსამბლი „სალხინო" გადაკეთდა სახელმწიფო ანსამბლად და ეწოდა საქართველოს სახელმწიფო ვოკალურ-ქორეოგრაფიული ანსამბლი „რუსთავი" (სამხატვრო ხელმძღვანელი: ანზორ ერქომაიშვილი, ქორეოგრაფი: რევაზ ჭოხონელიძე).

ბატონი რევაზ ჭოხონელიძე, როგორც მთავარი ქორეოგრაფი მოღვაწეობდა ანსამბლი „ერისიონი" (სამხატვრო ხელმძღვანელი: ჯემალ ჭკუასელი). გადაღებულია დოკუმენტური კინოფილმი რევაზ ჭოხონელიძის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ილია II მიერ საუკუნის ქორეოგრაფად წოდებული.

ბატონი რევზ ჭოხონელიძე არის უამრავი ჯილდოს მფლობელი, მიღებული აქვს სხვადასხვა პრემია და პრიზი:

- 1968 წელი - საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი;
- 1980 წელი - საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე;
- 1990 წელი - საქართველოს სახლხო არტისტი;
- 1997 წელი - საქართველოს ღირსების ორდენის კავალერი;
- 2003 წელი - საქართველოს სახელმწიფო პრემია;
- 2006 წელი - შოთა რუსთაველის სახელმწიფო პრემია.

უაღრესად დიდია მისი დამსახურება ქართულ-ხალხურ ქორეოგრაფიაში.

ბატონი რევაზ ჭოხონელიძე გარდაიცვალა 2014 წლის 6 ნოემბერს, 76წლის ასაკში.

ბატონო კახი, ჩვენი, საქართველოს ქორეოგრფთა აკადემიის მოკრძალებული თხოვნაა, თბილისში მდებარე ვახუშტი ბაგრატიონისა და ბათუმის ქუჩებს შორის არსებული, „ბათუმის შესახვევის“ ან რომელიმე ქუჩა, (ოჯახთან შეთანხმების საფუძველზე) სადაც ის ცხოვრობდა, მისი შემოქმედების, გაწეული შრომისა და საქართველოზე შეყვარებული პიროვნების უკვდავსაყოფად მიენიჭოს რევაზ ჭოხონელიძის სახელი.

გთხოვთ, თქვენთვის დამახასითებელი გულისხმიერებით, განიხილოთ აღნიშნული საკითხი საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მეორე ნაწილის, აგრეთვე მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის #239 დადგენილების მე-7 მუხლის საფუძველზე.

პატივისცემით,

ალექსანდრე ქართველიშვილი

საქართველოს ქორეოგრაფთა აკადემიის
პრეზიდენტი

ეკატერინა ჭელიძეს ბათუმის ამრენთი
ინვალიდ ჭოხონელიძის ოჯახის წევრი;
ბულვარი ნინოწმინდა კალაძე ს/ნ 01006013175
სოფელი ცაგერი ბაგრატიონი და ტბეთსკენ,
კახა ჭოხონელიძე ს/ნ 01006006638
ტელ: 551334426
ელ.ფოსტა: chokhok@gmail.com

რევაზ ჭოხონელიძე

(1938-2014)

მოცეკვავე, ქორეოგრაფი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სახალხო არტისტი. ღირსების ორდენის კავალერი

1957 წლიდან იყო ქართული ცეკვის თვითმოქმედ ანსამბლ „სალხინოს“ მოცეკვავე (ხელმძღვანელი გ. დარახველიძე), 1965 წლიდან — რუსთავის ცეკვის ახალგაზრდა ანსამბლის მოცეკვავე–მსახიობი (ხელმძღვანელი რ. ხონელიძე, გ. დარახველიძე). 1967 წლიდან ანსამბლ „სალხინოს“ ხელმძღვანელობდა. შემდეგ ამ ანსამბლს შეუერთდა ხალხური სიმღერის შემსრულებელთა ჯგუფი ანზორ ერქომაიშვილის ხელმძღვანელობით, 1971 წელს გადაკეთდა სახელმწიფო ანსამბლად და ეწოდა საქართველოს სახელმწიფო ვოკალურ–ქორეოგრაფიული ანსამბლი „რუსთავი“ (სამხატვრო ხელმძღვანელი ანზორ ერქომაიშვილი, ქორეოგრაფი რევაზ ჭოხონელიძე). განახლებულ ანსამბლში მან საკუთარი ინტერპრეტაციით მრავალი ათეული ცეკვა დადგა. მათ შორის: „ფრესკა“ (საგალობლების თანხლებით), „ხორუმი“ (სიმღერით), „საქორწინო სიუიტა“, „ფშაური–ხანჯლებით“. მოღვაწეობდა როგორც მთავარი ქორეოგრაფი საქართველოს სიმღერისა და ცეკვის ანსამბლში „ერისიონი“ (სამხატვრო ხელმძღვანელი ჯემალ ჭკუასელი).

მის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე გადაღებულია დოკუმენტური კინოფილმი. საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, ილია II მიერ წოდებულია საუკუნის ქორეოგრაფად. 2002 წელს, პარიზში მას „თანამედროვე ქორეოგრაფიის მეტრი“ უწოდეს.

მიღბული აქვს მრავალი ჯილდო და ორდენი:

1959 — ახალგაზრდობისა და სტუდენტთა VII მსოფლიო ფესტივალი, ლაურეატი, ოქროს მედალი (ჰელსინკი)

1962 — ახალგაზრდობისა და სტუდენტთა VIII მსოფლიო ფესტივალი, ლაურეატი, ოქროს მედალი (ჰელსინკი)

1968 წელს საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკის წოდება

1980 წელს საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდწბა

1990 წელს საქართველოს სახალხო არტისტის წოდება

1997 წელს დაჯილდოებულია ღირსების ორდენით

2003 წელს მინიჭბული აქვს საქართველოს სახელმწიფო პრემია

2006 წელს დაჯილდოვდა შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიით